პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1976 შაბათი 15 მაისი № 113 (16543) ფასი 2 კაპ. 1976

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

მოწვეულ იქნეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია 1976 წლის 21 ივნისს ქალაქ თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1976 წლის 14 მაისი.

სათიბები გვიცავს!

საკვების წლინახევრის მარაგი — ყველა ფერმას!

მარშან, სექტემბერში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეთვრამეტე პლენუმზე მთელი პარლამენტობით ამსჯელეს საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი განვითარების პრობლემებზე. პლენუმზე ითქვა, რომ საქართველო უნდა დარჩეს და დარჩება კიდეც მეჩაიეობის რესპუბლიკად, მევენახეობის, მეხილეობის, მალალი ხარისხის მეთამბაქოეობის, მეაბრეშუმეობისა და სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების რესპუბლიკად, მაგრამ ამასთანავე საქართველო ხდება და უეჭველად გახდება კიდეც თანამედროვე მაღალგანვითარებული მეცხოველეობის რესპუბლიკა.

პლენუმზე მეცხოველეობის განვითარების ხუთი მთავარი პრობლემა დაისახა. მათ შორის პირველ პრობლემად პირუტყვის მტკიცე საკვები ბაზა იქნა მიჩნეული.

დიახ, ეს ასეა! პირუტყვი უსაკვებოდ ვერ იარსებებს, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდება უხეში, წვნიანი კომბინირებული საკვების ხაკმაო მარაგის უქონლად წარმოუდგენელია. სწორედ ამიტომ იყო, რომ პლენუმზე დამსწრე ამხანაგებს მოაგონეს ლ. ი. ბრეჟნევის ნათქვამი: „მთავარი, რაც მეცხოველეობის აღმავლობისათვის გვჭირდება, — ეს არის საკვები, საკვები და ერთხელ კიდევ საკვები“.

პლენუმზე გადაწყდა, რომ მნიშვნელოვნად უნდა გავზარდოთ ყველა სახეობის საკვების — თივის, სენაჟის, ნამჯის, ხილოსის, ბალახის ფხვნილის, ძირხვენების წარმოება.

უკანასკნელ წლებში და უფრო მეტად შარშან, მძიმე და ხანგრძლივი გვალვის პირობებში საქართველოს კომუნისტებმა, პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რესპუბლიკის მთავრობამ განსაკუთრებით დიდი ყურადღება მოაქციეს პირუტყვის საკვებით უზრუნველყოფის საკითხს. თქმა არ უნდა, წინა წლებთან შედარებით პირუტყვის საკვების დაგროვება ერთობ გაუმჯობესდა. დაინერგა საკვების დამზადების პროგრესული მეთოდები, ამუშავდა კომბინირებული საკვების მთელი რიგი ხაამქრობი. ყოველწლიურად სულ უფრო მეტი რაოდენობით მზადდება მეტად ყუათიანი საკვები სენაჟი, ხილოსი.

მაგრამ უნდა გაღიაროთ, რომ ჩვენში საკვების წარმოება მაინც ჩამორჩება. საკვების წარმოების ჩამორჩენის ძირითადი მიზეზია საკვები კულტურების დაბალი მოსავლიანობა, მათი ნათესი ფართობების არადამაკმაყოფილებელი სტრუქტურა, ზეგნიანი საკვების დაბალი ხვედრითი წონა, ცილის უდიდესი დეფიციტი, ხანგრძლივი და შუალედური კულტურების თესვის მდიდარ შესაძლებლობათა, პირუტყვის საკვებად სხვადასხვა ნარჩენების არასაკმაო გამოყენება, ბუნებრივი საკვები ხავარგულების — სათიბებისა და ხაძოვრების მცირე პროდუქტიულობა, საკვებწარმოებისა და საკვებმომზადებაში ახალი ტექნოლოგიის დაბალი დონე, თვით საკვების „დაუდევრად, არამომჭირნედ ხარჯვა.

ამასწინათ გამართულ საქართველოს პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე მთელი სიმკაცრით ითქვა, რომ შეცდომებმა და ხარვეზებმა მნიშვნელოვანწილად გავლენა მოახდინა საკვებწარმოებასა და დამზადებაზე. გასული ზამთარი, როგორც კი ოდნავ გახანგრძლივდა, გადაეწია პირუტყვის ბაგური კვების პერიოდი, მაშინვე აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ რაიონს არსებითად არ ქონდა საკვების რეზერვები. ეს მაშინ, როცა შარშან რესპუბლიკაში 7 პროცენტით მეტი ყველა სახის საკვები იყო დამზადებული, ვიდრე წინა წელს.

რატომ მოხდა ასე? მარტო სუსხიანი ზამთარი იყო საკვები მარაგის ესოდენ სწრაფი შემცირების მიზეზი? ხომ არ შეუხუხტებიათ კონტროლი ჩვენს პარტიულ კომიტეტებს სახალხო მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანეს უბანზე, ხომ არ ყოფილა წამატები საკვების დამზადებაში? პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა, რაისაბჭოს აღმასკომებმა, მათმა ხელმძღვანელებმა ამას წლეულს უაღრესად ხელიფული ყურადღება უნდა მიაქციონ.

კარგად არის ნათქვამი — მეტი საკვები, მეტი ხორცი და რძეო. სწორედ რეზერვების უკმარისობის, არსებული საკვების დაუდევრად ხარჯვის გამო ბევრ რაიონში წლევანდელი წლის პირველ კვარტალში, შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით, თვითეულ ძროხაზე წველადობა ერთობ შემცირდა. ორჯონიკიძის რაიონში ამავე პირველ კვარტალში შარშანდელთან შედარებით ერთ ძროხაზე 20 კილოგრამით ნაკლები რძე მიიღეს, თერჯოლის რაიონში — 41 კილოგრამით ნაკლები, ხობუშის რაიონში — 32 კილოგრამით ნაკლები, გუდაუთის რაიონში — 28 კილოგრამით ნაკლები, ამბროლაურის რაიონში — 20 კილოგრამით ნაკლები, ოჩამჩირის რაიონში — 50 კილოგრამით ნაკლები, ცაგერის რაიონში — 21 კილოგრამით ნაკლები, წითელწყაროს რაიონში — 63 კილოგრამით ნაკლები. ამ რაიონების პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ხელძღვანელებმა აქედანვე უნდა გააანალიზონ მდგომარეობა, დასახონ გასაბამები შეცდომების გამოსწორების კონკრეტული გზები.

ფართო მხარდაჭერა პპოვა პირუტყვის საკვების წლინახევრის მარაგის შექმნის შესახებ საყოველთაო-სახალხო ლაშქრობამ, რომელიც სიღნაღის რაიონის კომუნისტებმა და სოფლის მუშაკებმა წამოიწყეს. „კომუნისტის“ ფურცლებზე დაიბეჭდა ფითელწყაროსა და მაიაკოვსკის, მარნეულის რაიონების ვალდებულებები. გარდა ამისა რედაქციაში ყოველდღე ოდის ცნობები საკვებმომკოებელთა ახალი გაღიდებული ვალდებულებების შესახებ.

ვთიბოთ და ვთიბოთ ბალახი, მალე ყანის მკაც მოვაო! ხალხური ლექსის ეს სტრიქონები მთელი სისრულით გამოხატავს სოფლის მუშაკთა იმ საჩქარო საქმის შინაარსს, რომელიც გაზაფხულის ბოლოს, თავთავიანების მკის დაწყების წინ შეიქმნება ხოლმე. ახლა ამ ერთადაც ყოველი წუთი, ყოველი საათი საჩქაროა, ალოობის დაწყებამდე დარჩენილი დრო მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ბუნებრივი და ნათესი ბალახების თიბვისათვის, სენაჟისა და ბალახის ფქვილის დამზადებისათვის.

16 მაისს რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების ინიციატივით ეწყობა საკვების დამზადების დიდი ლაშქრობა — კომკავშირული შაბათობა. კომკავშირს სასოფლო რაიონებმა, პირველადმა ორგანიზაციებმა, სკოლების ხელმძღვანელებმა აქტიურად უნდა დარაზმონ სოფლის ახალგაზრდობა — ბაბუაკები და ქალიშვილები, რომ საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების ნოვარი პირველი პრობლემის — საკვები ბაზის განმტკიცების საქმეში დიდი წვლილი შეიტანონ.

კომკავშირელო ქალიშვილებო და ჭაბუკებო, სოფლის ახალგაზრდებო! წლევანდელი გაზაფხულის წვიმებმა მინდვრად უხვად მოგვანა ბალახი. ყველანი ერთხმად, ორგანიზებულად გავიდეთ მინდვრად, ცელით, ნამგალით ვთიბოთ ბალახი! პირველ ოგზაში მოთიბავი არ დავტოვოთ გზისა და ტყის პირები, ქარსაფარ ზოლებში მოსული ბალახი! გახსოვდეთ, თვითეული ახალგაზრდის ხელში პირუტყვის საკვების დაგროვების საქმეში საპატიო და საპასუხოა!

ყველას, ვინც პირუტყვის საკვების დაგროვებაში აქტიურად მიიღებს მონაწილეობას, ვინც ძალასა და ენერგიას არ დაზოგავს სამეურნეო საქმისათვის, იგი მეათე ხუთწლედის პირველი წლის დასასრულამდე გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდში იქნება.

სოფლის მშრომელებო, სათიბები გვიცავს, ვიშრომოთ ამ საქმეში დიდებული დროის შესაფერისად, დამკვრელურად! ყველანაკ პირუტყვის საკვების წლინახევრის მარაგი! ამით ჩვენ ვამტკიცებთ საზოგადოებრივი მეცხოველეობის საკვები ბაზა — ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტების წარმოების გაფართოების უპირველესი საფუძველი!

გულითადი მადლობა

სოციალისტური სახელმწიფოების, კომუნისტური პარტიების ხელმძღვანელებმა, მსოფლიოს სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებმა, პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა და სხვა ორგანიზაციებმა, სამრეწველო საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, სამეცნიერო და კულტურული დაწესებულებების, სასწავლებლების, ჯარის ნაწილების კოლექტივებმა, ჩვენი ქვეყნის ბევრმა მოქალაქემ, საბრძოლო მეგობრებმა და თანამებრძოლებმა მომილოცეს და ყოველივე საუკეთესო მისურვეს საბჭოთა კავშირის მარშლის წოდების მინიჭებისა და „მარშლის ვარსკვლავის“ მიღებასთან დაკავშირებით.

ჩემთვის საბჭოთა კავშირის მარშლის წოდების მონიჭებას და გულთბილ მოლოცვებს აღვიქვამ არა მარტო იმის აღიარებად, რომ ჩემი წვლილი შევიტანე დიდი სამამულო ომის ფრონტებზე ჩვენი მამაცი შეიარაღებული ძალების საბრძოლო მოქმედებაში, და ვიღაწი ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის, საყოველთაო მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების დამკვიდრებისათვის, არამედ, ეს მიმაჩნია იმ ისტორიული ღვაწლის მაღალ შეფასებადაც, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, ლენინურ კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა სახელმწიფოს მიუძღვით მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ ქვეყნად მტკიცე მშვიდობისათვის ბრძოლაში. ეს არის აგრეთვე მხურვალი მადლობა მთელი საბჭოთა ხალხისადმი, რომელმაც უმაგალითო გმირობა გამოიჩინა სოციალისტური სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, ფაშიზმის მიერ დამონებულ ხალხთა ხსნისათვის. საბჭოთა ხალხმა თავდადებული აღმშენებლობითი შრომით აღადგინა ომის დროს ნანგრევებად ქცეული ქალაქები და სოფლები, კიდევ უფრო დაამშვენა, კიდევ უფრო გაძლიერა ჩვენი დიადი სამშობლო — ქვეყნად მშვიდობისა და პროგრესის საიმედო ბურჯი.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო, რომლებიც ხელმძღვანელობენ დიდი ლენინის ანდერძით, მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან, მთელ პროგრესულ მშვიდობისმოყვარე ძალებთან ერთად ყოველნაირად უწყობენ ხელს ხალხთა მეგობრობის განვითარებასა და განმტკიცებას, მათს ნაყოფიერ თანამშრომლობას საერთაშორისო დაძაბულობის შემცდგომი შენელების ინტერესებისათვის, მშვიდობის, თავისუფლებისა და პროგრესის საკეთილდღეოდ. ჩვენი ლენინური პარტია, საბჭოთა ხალხი, მისი სახელოვანი შეიარაღებული ძალები ყოველთვის ერთგულნი იქნებიან ამ კეთილშობილური იდეალებისა.

გულითადი მადლობას ვუხდი ყველას, ვინც გულთბილად, მეგობრულად მომილოცა. ეს მოლოცვა შთამაგონებს, რომ კვლავაც მთელი ძალ-ღონე მოვახმარო ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დიად საქმეს, მშვიდობისა და მთელი კაცობრიობის ნათელი მომავლის საქმეს.

ლ. ბრეჟნევი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფესიული კავშირების საბჭოში

ვ. ი. ლენინის დაბადების 106 წლისთავისადმი მიძღვნილ სრულიად საკავშირო კომუნისტურ შაბათობაში, რომელიც გაიმართა 1976 წლის 17 აპრილს, დიდი შრომითი აღმავლობით მიიღეს მონაწილეობა საბჭოთა საქართველოს მშრომელებმა.

ამ დღეს 2 მილიონზე მეტი კაცი შრომობდა რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ტრანსპორტისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების საწარმოებში, აგრეთვე ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობისათვის. თავიანთი თავდადებული შრომით მათ კიდევ ერთხელ ცხადყვეს ურღვევი შეკავშირება მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო. შაბათობის დღეს მარტო სამრეწველო პროდუქცია წარმოებული იყო 11 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულებისა. გამომუშავებული და მეათე ხუთწლედის ფონდში გადაცემულია 1 მილიონ 857 ათასი მანეთი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფესიული კავშირების საბჭო გულითად მადლობას უძღვნიან თავდადებული და უანგარო შრომისათვის საბჭოთა საქართველოს ყველა მშრომელს, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს სრულიად საკავშირო კომუნისტურ შაბათობაში.

(საინფორმო).

სენაჟის დამზადება დაიწყეს

პატრიოტულ თაოსნობას — შემძლენი პირუტყვის საკვების წლინახევრის მარაგი! — ერთსულოვნად გამოეხმაურა გარდაბნის რაიონის კრწანისის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი ი. ხარძიანი) კოლექტივი. მეურნეობას მეცხოველეობის ფერმებიც აქვს და გადაწყვიტეს პირუტყვი უზრუნველყონ ადგილობრივი წარმოების ყუათიანი საკვებით.

აქ უკვე დაიწყო სენაჟის დამზადება. წლეულს კრწანისელებმა გაღდებულება იკისრეს დაამზადონ 2.000 ცენტნერი სენაჟი, 5.000 ცენტნერი თივა, 2.000 ცენტნერი ნამჯა. სენაჟის დამზადებას ათ დღეში დაამთავრებენ. საკვების მოსამარაგებლად ენერგიულად შრომობენ ტრაქტორისტები: დ. ხარძიანი, გ. მარგიანი, გ. ლისენკო, ა. მამედოვი.

სურათზე: სასენაჟე მახის დამზადება კრწანისის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში.

ბ. ბოგოსიანის ტელეტი და ფოტო.

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ელჩი

14 მაისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა კრემლში მიიღო იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ელჩი ი. სმოლე. შეხვედრის მსვლელობაში შეეხნენ საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისა და გაღრმავების საკითხებს, აგრეთვე ზოგიერთ აქტუალურ საერთაშორისო პრობლემას.

ლ. ი. ბრეჟნევსა და ი. სმოლეს შორის გამართულმა საუბარმა გულთბილ მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ერევნის დრამატული თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საიუბილეო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქალაქ თბილისში 1976 წლის მაისში გასტროლების წარმატებით ჩატარებისა და მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის საქმეში დამსახურებისათვის ერევნის დრამატული თეატრი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საიუბილეო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1976 წლის 14 მაისი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგი მეოთხე სესიის განსახილველად შეიტანა საკითხი „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების როლისა და პასუხისმგებლობის ამაღლება სკკპ XXV ყრილობაზე მათთვე ხუთწლედისათვის დასახული სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ამოცანათა შესრულებაში“.

საკითხის ასეთი დაყენება განპირობა იმან, რომ საჭიროა გაააქტიურდეს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუშაობა მეათე ხუთწლედის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის.

საბჭოების აქტიური შემოქმედებითი საქმიანობა, რომელიც გამოიხატება იმით, რომ სისტემატური, კვალიფიციური კონტროლი გაუწიონ დაქვემდებარებულ ტრანტორიებზე ეკონომიკისა და კულტურის ეგეგმიან განვითარებას, მეტი ყურადღება დაუთმონ ამომრჩეველთა დავალებების შესრულებას, გააუმჯობესონ დაქვემდებარებული საწარმოების მართვა, გაზარდონ დეპუტატების, მუდმივი კომისიების აქტიურობა, შექმნან პირობები შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, მოაწყონ სოციალისტური შეჯიბრება. და ბევრი სხვა რამ ხელს შეუწყობს მეათე ხუთწლედის რთული და პასუხსაგები ამოცანების წარმატებით განხორციელებას.

ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს. უფლებათა გაფართოებასთან და მათი ავტორიტეტის ამაღლებასთან ერთად განსაკუთრებით ზრდის საბჭოების პასუხისმგებლობას სახალხო-სამეურნეო გეგმების შესრულებისათვის, სოციალურ-კულტურული მშენებლობის დარგში საბჭოთა ხალხის წინაშე სკკპ XXV ყრილობაზე დასახულ გადაუდებელ ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტისათვის.

„სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითად მიმართულებებში“ აღნიშნულია, რომ მშრომელთა დეპუტატების საბჭოებმა მეათე ხუთწლედის სახალხო-სამეურნეო გეგმების შესრულების ორგანიზაციის დროს კიდევ უფრო აქტიური გავლენა უნდა მოახდინონ ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაზე, შეუნელებელი ყურადღება დაუთმონ მოსახლეობისათვის საჭირო საქონლის წარმოების გაღიდებას, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების, სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესებას, ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობას. საბჭოები ქმედითს გავლენას უნდა ახდენდნენ ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებაზე, გულმოდგინედ სწავლობდნენ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებს, განუხრელად და სწორად აბორიგენელებდნენ საბჭოთა კანონებს.

საჯარობა, საბჭოების სესიებზე სახელმწიფო მართვის, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დიდმნიშვნელოვანი საკითხის, აგრეთვე ბევრი სხვა საკითხის თავისუფალი და ყოველმხრივი განხილვა, საბჭოთა, სამეურნეო და სხვა ორგანიზაციების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების კრიტიკა კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე უნდა აიყვანონ საბჭოებმა და მათმა აღმასკომებმა. „საბჭოთა დაწესებულებებში მმართველობის ყველა საკითხის კოლეგიურ განხილვისა და გადაწყვეტას, — წერდა ვ. ი. ლენინი, — თან უნდა ხდებოდეს როგორიც გნებავთ საბჭოთა თანამდებობაზე მყოფი ყოველი პირის უაღრესად ზუსტი პასუხისმგებლობა გარკვეული, ნათლად და მკვეთრად შემოფარგლული დავალებისა და პრაქტიკული სამუშაოს შესრულებისათვის“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, რომელიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საზოგადოებრივ აზრს, საბჭოების მუშაობაში მისი უფრო სრული ასახვის მიზნით ითხოვს რესპუბლიკის მშრომელებს გამოთქვან თავიანთი აზრი მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოების მუშაობის შესახებ, გამოუზიარონ შენიშვნები, წინადადებანი და სურვილები მათი მუშაობის გასაუმჯობესებლად. ყოველივე ამას გულმოდგინედ შეისწავლიან და გაითვალისწინებენ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შემუშავებისას.

14 მაისი

მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები

„ქრაკვდის“ ფურცლებზე

სკკპ XXV ყრილობაზე ახალი ხუთწლეულისათვის დასახულ სოციალურ პროგრამაში დიდმნიშვნელოვანი როლი ეთამაშება ჰოხმარების საზოგადოებრივ ფონდებს.

მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები, — წერს კოზეთი მეთაურ წერილში („მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები“), — მთელი ხალხისა და თვითეული საბჭოთა ადამიანის ინტერესებისათვის იქმნება.

ახალ ხუთწლეულში. — ნათქვამია შემდეგ, — საზოგადოებრივი ფონდებიდან მთელი მოხმარების ორ მესამედზე მეტი მოდის ბავშვებზე, შრომის ვეტერანებსა და საზოგადოების სხვა არაშრომისუნარიან წევრებზე. აუნდება 2,5-2,8 მილიონადგილიანი საბავშვო ბაგა-ბაღები, გვექნება მეტი სკოლა და გახანგრძლივებული დღის ჯგუფები, პიონერული ბანაკები, პიონერთა სასახლეები და სახლები, სხვა ხკოლისგარეშე დაწესებულებები. გაიზრდება პენსიათა მინიმალური ოდენობა. გაღიდდება იმ პირთა რიცხვი, რომლებიც იღებენ პენსიას ან დახმარებას. მათ შორის იქნებიან კოლმეურნეობათა ყოფილი წევრები. კოლმეურნეობების მშრომელები სოციალური უზრუნველყოფის დონითა და პირობებით კიდევ უფრო მიუახლოვდებიან მუშებსა და მოხამსახურეებს.

აქვე გამოქვეყნებულია ნოემბერსოფის გაერთიანება „აზოტის“ მეშების წერილი — „მთელი სიმძლავრით“ (ურსი — ეფექტიანობა). ისინი ახლადაშენებული ქარხნების მშრომელებს მოუწოდებენ დაჩქარებით აითვისონ ის საპროექტო სიმძლავრეები, რომლებიც მეცხრე ხუთწლედის მანძილზე დაინერგა საწარმოებში. მეშების ამ წერილს გამო გაზეთი ბეჭდავს თავისი სპეციალური კორესპონდენტების კომენტარს, ხოლო რედაქციისაგან დართულ შენიშვნაში ნათქვამია, რომ წერილში წამოყენებული პრობლემა მარტო ქიმიური მრეწველობის საწარმოებს კი არა, არამედ სახალხო მეურნეობის სხვა დარგებსაც პირდაპირ ეხება. მაგალითად, მეტალურგებმა, ამის გამო, რომ სრულად ვერ გამოიყენეს ყველა სიმძლავრე, 1975 წელს ქვეყანას დაკლეს ორ მილიონ ტონაზე მეტი ნაგლინი.

მთელი ჩვენი ქვეყანა, — აღნიშნავს კოზეთი — გიგანტური სამშენებლო მოედანია. ყოველწლიურად მწყობრში დგება ათასობით ახალი და რეკონსტრუირებული საწარმო. საამქრო, წარმოება. თუ რამდენად სწრაფად ზრდიან ისინი პროდუქციის გამოშვებას, რამდენად სწრაფად ალწევენ საპროექტო მაჩვენებლებს, ამაზე ბევრად არის დამოკიდებული მთელი ჩვენი სამამულო ეკონომიკის ზრდის ტემპები. რედაქცია ამ თემაზე მსჯელობისათვის იწვევს სახალხო-მეურნეობის დარგების სპეციალისტებს.

ამას წინათ პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ გამოიშვა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის ავტორთა კოლექტივის მიერ მომზადებული წიგნი — „სოციალისტური საზოგადოება. თანამედროვე საბჭოთა საზოგადოების სოციალურ-ფილოსოფიური პრობლემები“. ამ წიგნს გაზეთის ფურცლებზე ეფასებს ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი ვ. სემეონოვი.

როგორც გაზეთი იუწყება, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პ. ნ. ლებედევის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის კვანტური რადიოფიზიკის ლაბორატორიაში სხვა დარგობრივ ინსტიტუტებთან თანამეგობრობით შექმნეს **ხაკრექეცო ტელევიზორი ლაზერული კინესკოპით.**

ПРАВДА

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმის შესახებ

პარტიის რაიონული კომიტეტის ეს პლენუმი, რომელიც ამ დღეებში სიღნაღში გაიმართა, უთუოდ დიდხანს ეხსომებათ აქაური კომუნისტებს, ადმინისტრაციული ორგანოების, მომსახურების სფეროს მუშაკებს, აქტივს. პლენუმი სოციალისტური საკუთრების დატაცებებს, მექრთანეობის და სხვა ანტისაზოგადოებრივი მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების, პარტიული, სახელმწიფო დისციპლინის შემდგომი განმტკიცების აქტუალურ საკითხებს მიეძღვნა.

ცხადია, რაიკომის პლენუმზე ამ უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხის განხილვა, კომუნისტთა დიდი სჯა-ბაასი, ცხარე კამათი შემთხვევითი რიდი იყო. როგორც პარტიის რაიკომის პირველი მდივნის ვ. ჭარუმიძის მოხსენებაში, ისევე მოკამათეების სიტყვებში იყო ნათქვამი, რაიკომის, პირველადი პარტიული ორგანიზაციების პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის შედეგად თანმიმდევრულად მკიცდრდება შემოქმედებითი შრომისათვის საქმიანი ატმოსფერო. მაგრამ ამასთან ჯერ კიდევ მთლიც ბევრია გასაკეთებელი და საბრუნავი სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთრების დატაცების აღსაკვეთად, ადამიანთა შეგნებაში წარსულის მავნე გადმონაშთების დასაძლეველად, წესრიგის დასამყარებლად.

მომხსენებელმა, აგრეთვე მოკამათეებმა ნ. ღვედაშვილმა (ძველი ანაგის კოლმეურნეობის პარტკომის მდივანი), ჯ. გოგიანაშვილმა (რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე), ჯ. ბერდღელმა (შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი), ლ. კახოიძემ (რაიკავშირის თავმჯდომარე), ა. ვაიტაძემ (რაიონის პროკურორი), ბ. ასანიშვილმა (შეკნიკური ჭარხლის მუშა), ც. ათანელაშვილმა (შევენახე), ლ. ბეგიაშვილმა (გზეთ „კოლმეურნის" რედაქტორი), ე. შოშიაშვილმა (საშუალო სკოლის დირექტორი), ვ. ცაბუტაშვილმა (კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი). ა. დოლმაბაშვილმა (წნორის მექანიკოფლეობის კომპლექსის დირექტორი) და სხვებმა თავიანთ გამოსვლებში მოიყვანეს იმის მაგალითები, რომ რაიონის ზოგ საწარმოსა და დაწესებულებაში, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციაში კვლავ არის უფიცალიანობის, გამოძალვის, მიწეწილების, გაფლანგვა-დატაცების და სხვა დანაშაულობათა სამწუხარო ფაქტები. დანაშაულობები გამოვლინდა ინდივიდუალური ბინათმეკეთეობა-ბინათმპარებლობის სამმართველოში, ნავთობბაზაში, აეროტექმომსახურებაში, ტარის, ხე-ტყის საკავშირო საბითუმო ბაზებში და სხვ. ასეც ითქვა, რომ უხეშად ირღვევა გაჭრობის წესები, ხშირია ზომაწონაში მოტყუების, ტარიფებისა და ფასების დარღვევის შემთხვევები.

მაგალითად, წნორის საბითუმო ბაზა ჩაიდინეს. აქ რაიკავშირის თავმჯდომარის გ. ბეკაშვილის და დამზადების კანტორის დირექტორის ბ. ტუხაშვილის ხელმძღვანელობით შეიქმნა საქმოსანთა ბოზრდილი ჯგუფი, რომელმაც კვირცხის შესყიდვის უსაქონლო ოპერაციით, ცოცხის ყალბი დამზადებით, მიწერებით, გაფლანგვებით, მექრთამეობით დიდძალი სახელმწიფო და საზოგადოებრივი თანხები მითვისა.

მაგალითად, დამზადების კანტორაში 203 ათასი კვერცხის ნაცვლად 21.170 მანეთი შეიტანეს და ამით პროდუქციის შესყიდვის გეგმის ფაქტიური შესრულება უჩვენეს.

დამნაშავეთა ამ ფართოდ განშტოებულ ქსელში ჩაბმული იყვნენ სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკები გ. დარჩიაშვილი, ბ. ჯოხარიძე, ფ. შაიშმელაშვილი, აგრეთვე ბევრი მაღაზიის ნოქარი. მათ ხელს ეწყობდნენ ზოგიერთი სასოფლო საბჭოს აღმასკომის მუშაკები, ადგილობრივი საბჭოების ზოგიერთი დეპუტატი. ცხადია, ამ საქმეში რაისაბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელების უყურადღებობაც ჩანს.

და სწორედ ამ ათობით მოწმის თვალწინ, თითქმის პირში წყალი დაუგუბებათო, მათი და მთელი აქტივის წაყრეებით, ფაქტიური დანაშაულებით კომბინატორება „ცოცხის ოპერაციებში" ვინმე ტყავლაშვილის მეშვეობით 25.690 მანეთი მითვისეს.

მოკამათეები გაკვირვებას „გამოთქვამდნენ იმ მცდარი პრაქტიკის გამო, რომ ეკავშირნი და საგვემო ორგანოები რაიონისათვის ცოცხისა და თხილის ნამტი პროდუქტების დამზადების გეგმებს ითვალისწინებენ. მაგალითად, შარშან აქ 81 ტონა თხილი და 300 ათასი ცალი ცოცხი უნდა შირელმა, დეპუტატმა რატომღაც ვერ შენიშნა ასეთი ვითარება. ერთი სიტყვით, არ აღმოჩნდა ადამიანი, რომელსაც რაიკომისათვის სწორი ინფორმაცია მიეწოდებინა.

სად არის ჩვენში თხილი და ცოცხი? კითხულობდნენ პლენუმის მონაწილეები და იქვე თვითონვე განმარტავდნენ, რომ ასეთ ოპერაციებში ბოროტმოქმედნი დიდ სარფიან საქმეს აგვარებენ და ხელსაც კარგა მაგრად ითბობენო. და ყოველივე ამას, რა თქმა უნდა, ფაქტებით ცხადყოფდნენ.

— უაღრესად დამაფიქრებელია ის, — თქვა მომხსენებელმა, — რომ რაიონის თითქმის ყველა სოფელში კვერცხის დამზადება მცდარი, დანაშაულებრივი პრაქტიკით ხდებოდა. სამწუხაროდ, ვერ ცერმა კომუნისტმა, კომკავშირელმა, ვერ ინტელიგენტმა, ვერ ინჟინერ-ტექნიკოსმა, ვერ ბიბლიოთეკარმა, ვერ ექიმ-ფელდშერმა, ვერ ბაბა-ბებიამ, ვერ ბაბა-ბებიამ, ვერ ბაბა-ბებიამ

ფაქტები მოვლენები პრობლემები

საკადრისი და ეცხოვრების პრესის სააგენტოები იტყობინებიან

მსოფლიოს ამბები

მშვიდობის, თავისუფლებისა და პროგრესისათვის

აზია-აფრიკის საზოგადოებრიობას, რომელიც თავისი ქვეყნების თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას იცავს, შეუძლია საბჭოთა დამიანების მტკიცე მხარდაჭერის იმედი ჰქონდეს, ეს ერთსულოვნად განაცხადეს ბაკოში მიმდინარე აზია-აფრიკის ხალხთა სოლიდარობის IV საბჭოთა კონფერენციის დელეგატებმა.

აზია-აფრიკის სოლიდარობის საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ა. ხ. ძასსრმა გააკეთა საანგარიშო მოხსენება „საბჭოთა საზოგადოებრიობის მონაწილეობა აფრიკა-აზიის სოლიდარობის მოძრაობაში და სოლიდარობის საბჭოთა კომიტეტის ამოცანები სკკპ XXV ყრილობის გადწყვეტილებათა შესაბამისად“.

აფრიკა-აზიის სოლიდარობის მოძრაობის პირველი დღეებიდანვე, თქვა მოხსენებელმა, საბჭოთა საზოგადოებრიობა აქტიურად ჩაება მის რიგებში. საბჭოთა ადამიანები პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების ერთგული არიან, მათი მოქმედება შთაგონებულია ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის კეთილშობილური იდეალებით, რომლებიც საფუძვლად უდევს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკურ საქმიანობას, რაც ნათლად აისახა სკკპ XXV ყრილობის ისტორიული გადწყვეტილებებით.

კონფერენციაზე გამოვიდნენ უზბეკეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ტ. ა. სარიმსაკოვი, ინდოეთის დელეგაციის მეთაური მ. ს. ტალეგი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი აკადემიკოსი მ. მ. ბელოვი, ლენინგრადის ვოროშილოვის სახელობის ქარხანა „ზვეზდას“ ხარატი ე. ა. არტემიევი, საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი პ. ტ. პიმენოვი და სხვა ორატორები.

ბაკო, 14 მაისი. (საკდესი). აკ დამთავრდა აზია-აფრიკის ქვეყნების ხალხთა სოლიდარობის IV საბჭოთა კონფერენცია, დასკვნით დღეს სიტყვით გამოვიდნენ ზღვისპირეთის მხარის დელეგატი პარტიის რაიკომის მდივანი კ. მ. ხარჩევი, სირიის არაბთა რესპუბლიკის წარმომადგენელი სალეგ ნაჯიბი, კვიპროსის ეროვნული საბჭოს წევრი პასსს ლესარიდესი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ა. ჩხაპაძე, ერაყის საზოგადოებრიობის დელეგაციის მეთაური ზუბაბარ აბდული რაზაკი, აზია-აფრიკის ქვეყნების ხალხებთან სოლიდარობის ჩეხოსლოვაკიის კომიტეტის თავმჯდომარე მირრუსლავ ფაჭეკი და სხვები.

კონფერენციის მონაწილეებმა და სტუმრებმა მსურვალედ დაუჭირეს მხარი სტოკჰოლმის ახალ მოწოდებას გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ, რომელიც გააკეთა მშვიდობის მსოფლიოს საბჭომ, და ხელი მოაწერეს მას.

უდიდესი აღმავლობით მიიღეს მისასალმებელი წერილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისადმი.

გაიმართა კომიტეტის ახალი შემადგენლობისა და მისი ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები. საბჭოთა კავშირის აზია-აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კომიტეტის თავმჯდომარედ კვლავ აირჩიეს სოციალისტური შრომის გმირი მირზო თურსუნ-ზადე.

კონფერენციის საბოლოო საზეიმო სხდომას დაესწრო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ა. ალიევი.

უცხოური მოზაიკა

ცოლები გარბიან

„მე წავედი. არ მეძებო“ — ახლა ასეთ ბარათებს ამერიკის შეერთებულ შტატებში უფრო ხშირად ქალები წერენ, ვიდრე კაცები. წინათ კი პირიქით იყო. 1960 წელს, მაგალითად, ოჯახიდან გაქცეულ სამას კმარზე ოჯახის უღლიდან თავდაღწეული ერთი ქალი მოდიოდა.

ამჟამად კი ეს პროპორცია შეადგენს ორს ერთზე „ცოლების“ სასარგებლოდ.

ეს გამოიანგარიშა ფირმა „ტრეის კომპანი ოფ ამერიკამ“, რომელიც მიტოვებულ მეუღლეთა შეკვეთით გაქცეულ ცოლებსა თუ ქმრებს ეძებს.

ვინ გარბის? „ტრეის კომპანის“ პრეზიდენტი ედ გოლდფაბერი განზოგადებულ პორტრეტს ხატავს: 35 წლის ქალები, რომელთაც შვილები წამოეზარდნენ და შეუძლიათ თავიანთ თავს მიხედონ, გარბიან მბეზრებელი ქმრისაგან და არა ვინმესთან.

რატომ გარბიან? მთავარი მიზეზი, გოლდფაბერის აზრით, არის ის, რომ ცდილობენ მოიპოვონ თავიანთი ადამიანური ღირსება. ჩვეულებრივი სურათია: ქმარი კარიერთან არის დაკავებული, ბავშვები დაიზარდნენ... და იქმნება სულიერი სიცარიელე.

განსაკუთრებით დიდი დაბოლმაურება ჰქონია ანელიკა ალისტოს, სან-ფრანცისკოს მერის ცოლს, ექსი ნელის დედის გაქცევამ. მან უარი თქვა კეთილდღეობასა და დიდებაზე, რათა თავი დაეღწია ოჯახური ბორკილებისაგან... თუმცა მეთექვსმეტე ღღეს თვითონვე დაბრუნდა, ეუწყება ახალი ამბების საგენტოს კორესპონდენტი ნიუ-იორკიდან.

ვიდისძვეშა ზოოპარკი

როგორც პრაღაპრესის საგენტო იუწყება, ჩეხოსლოვაკიელმა სპელეოლოგებმა წამოაყენეს წინადადება, რომ ბრნოს მახლობლად გამოქვაბულში მოაწყონ მიწისქვეშა ზოოპარკი. უფრო სწორად „სპეციალიზებული“ ზოოპარკი: აქ ბუნებრივ გარემოში ექსპონირებული იქნება გამოქვაბულების ტიპიური ბინადარნი. დაგეგმილია, მაგალითად, სპეციალური ბოლიერის აშენება ღამურებისათვის. ეგზოტიკურ ფაუნას შეიტანენ იმ გამოქვაბულებში აღმოჩენილი არქეოლოგიური ამოთხრათა ექსპოზიცია, სადაც უძველეს ხანაში ადამიანები ცხოვრობდნენ. პროექტით დაინტერესდნენ ოუგოსლავიელი და ფრანგი სპელეოლოგები, რომლებმაც ჩეხოსლოვაკიელ კოლეგებს დახმარება აღუთქვეს.

ჭეკობრეები...

„ჭეკობრეები კინემატოგრაფიდან“ — ასე უწოდებენ იტალიაში ამ უკანასკნელ ხანებში გაჩენილ ფენომენს. იტალიაში, მიუთითებს გაზეთი „ესპრეზო სერა“, პირდაპირ აყვავდა კინოფილმების ეიფრო ფირნე გადაღების საიდუმლო ინდუსტრია, რომელიც მოხერხებულ საქმოსნებს დიდ მოგებას აძლევს. კინოსტუდიათა ვერ მოასწრეს ეკრანებზე გამოეშვათ ახალი ფილმი, რომ იტალიელმა კინოთეატრებზე უკვე გამოჩნდება ხოლმე მისი ასლი, რომელიც დაბალ ფასებში იყიდება.

მხატვრული ფილმების საიდუმლო ტირაჟებს, გაზეთის აზრით, უმეტესწილ მაფიასთან დაკავშირებული ადამიანები.

საშალალო სტატისტიკა

ყოველწლიურად 250 ათასი კაცი იღუპება და დაახლოებით 10 მილიონი სახიჩრდება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების შედეგად. ეს მონაცემები გამოქვეყნებულია ჟენევის პერიოდულ პრესაში.

გასტროლები და შოკაბეჭდილებები

სიტყვა ექვრობარის ყოვლიერებაზე

თბილისში გასტროლები დაამთავრა ერევნის დრამატულმა თეატრმა

ბულ ახლახან ერევნის დრამატულ თეატრს ახალგაზრდას ეუწოდებდით და მის მიღწევებს, შემოქმედებითს გამარჯვებებს ერთგვარი კომპრომისით აღვიქამდით. ბევრი საინტერესო სპექტაკლი და აქტიორული წარმატებები გვახსოვს ამ თეატრში, მაგრამ შემოქმედებითი ალმაფრენით შექმნილი სცენური ნაწარმოებების გვერდით დაუსრულებელ, ჩრდილოვან მხარეებსაც ვამჩნევდით. ღღეს უკვე მეხსიერებაში გრჩება შთამბეჭდავი, გონებამახვილური, პლასტიკურად დახვეწილი და ღრმა აზრის შემატყველი მიზანსცენები. საბჭოთა თეატრალური ხელოვნების სამი ცნობილი რეჟისორის — სსრ კავშირის სახალხო არტისტების პრაჩია აყაფლანიანის, ბორის რავენსკიხის და ევგენი სიმონოვის — სხვადასხვა სტილის შემოქმედთა საგასტროლო წარმოდგენებში დემონსტრირებული ავტორისეული აზრის საინტერესო, დრამატურგიული მასალის შესატყვისი, სცენური ატმოსფეროს შექმნის უნარი.

რეჟისორის მიზანდასახულობა სტილისტური სრულყოფა თვალსაჩინოა პ. აყაფლანიანის სპექტაკლში — ლუის ბერნგანის „ჯალათში“. პიესას კინოსცენარის მსგავსი ფრაგმენტულობა ახასიათებს, მაგრამ პატარ-პატარა სცენური ეპიზოდები მთლიან დრამატულ თხრობად ოსტატურად არის ასხმული...

ესპანეთი. ეგზოტიკური ყოფა. მცხუნვარე მზე, მომაჯადოებელი მელოდიები და მომხიბვლელი ცეკვები. ამ ფონზე იშლება უბრალო ესპანელის ტრაგიკული ბედი, კაპიტალისტური სამყაროს ჩვეულებრივი მსხვერპლის ამბავი. სცენაზე მხოლოდ ოთხკუთხა სისტლისფერი მოედანი და მაღლიდან დაშვებული რამდენიმე სახრჩობელის მარყუჟი. სპექტაკლის მხატვრული გაფორმება თვით პ. აყაფლანიანს ეკუთვნის. ეს სცენური სიმბოლური დეტალები მთელი სპექტაკლის მახვილზე სწორ ახორციელებ ეკუთვნის. ეს სცენური სიმბოლური დეტალები მთელი სპექტაკლის მახვილზე სწორ ახორციელებ ეკუთვნის. ეს სცენური სიმბოლური დეტალები მთელი სპექტაკლის მახვილზე სწორ ახორციელებ ეკუთვნის. ეს სცენური

გიკული განცდა მატუღლობს, მსახიობი დრამატიზმის საჭირო გრძნობას თანდათან ავლენს. ასახიობი ოსტატურად გამოხატავს ახალგაზრდა კაცთმოყვარე ადამიანის სულიერ ტანჯვას — როგორმე შეეგუოს თავის ბედს. გაოგნებულ ხოსე-ლუის-მსრიანს ძალით ძიათრევენ გახარენის აღსასრულებლად... განადგურებული, დაბეჩავებული ბრუნდება ბინაზე, ხოსე-ლუისი, აკანკალებული ხელით ძლივს მოძებნის გასაძარცველს, მეუღლეს „გაუწვდის, ჩვენ შვილს კი ჩასძახეს: „ეს იქნება უკანასკნელი“... იქვე ყოფილი ჯალათი ამადეო (სოძხეთის დამსახურებული არტისტი ი. ლარიბიანი) ჩაილაპარაკებს: „მეც ასე ვუთხარი პირველად ჩემს შვილს“...

მოედანი ჩამუქდა, ღიად დარჩენილ სახრჩობელის მარყუჟებს, რაზეც მთელი სპექტაკლის ძახძილზე სხვადასხვა დეტალები მაგრდებოდა, სპექტაკლის მთავარი პერსონაჟები ძიუახლოვდნენ...

ერევნის დრამატულ თეატრში ედუარდო დე ფილიპოს პოპულარული კომედია „ფილუმენა მარტურანო“ მოსკოვის ვახტანგოვის თეატრის სპექტაკლის თითქმის ასლს წარმოადგენს. ე. სიმონოვის აღიარებული ნამოდგენის (სადაც მარტბოოს სარიანის კოლორიტული, ბრწყინვალე მხატვრული გაფორმება იყო), გადატანა ერევნელთა სცენაზე კოლექტივის პროფესიონალიზმისათვის, მსახიობთა დაოსტატებისათვის მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ამ მხარეს კიდევ უფრო ავსებს ბერნარდ შოუს თავისებური ფი და რთული ნაწარმოების „მოკოლადის ჯარისკაცის“ დადგმა. მკვეთრი ინდივიდუალობის რეჟისორის, ბორის რავენსკიხის სპექტაკლში თეატრის დასის პოტენციური მრავალფეროვნება მეტადავლდება.

ერევნის დრამატული თეატრის კოლექტივი ყოველთვის ახლის ძიების პროცესშია. სასიამოვნოა, რომ მიღწეული შედეგის გასაღნობად თეატრი თბილისს ეწვევა ხოლმე. თეატრის ხელმძღვანელობა თავს მოვალედ თვლის დროდადრო ერთგვარი შემოქმედებითი ანგარიშით გამოვიდეს ჩვენი მაყურებლის წინაშე, რადგან აქ მრავალი ჭეშმარიტი დამფასებელი და მეგობარი ეგულება.

კ. ნინიკაშვილი,
საქართველოს თეატრალური საზოგადოების მდივანი.

* * *

სურათზე: ერევნის დრამატული თეატრის სპექტაკლის — ბ. შოუს „მოკოლადის ჯარისკაცის“ ერთი სცენა.

ვ. ჩარკასოვის ფოტო.

ფესტივალი დამთავრდა

13 მაისს კრემლის ყრილობათა სასახლეში სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის საუკეთესო მსახიობთა კონცერტით დამთავრდა ფესტივალი „მოსკოვის გარსკვლავები“. ამჟამად ფესტივალი მიმდინარეობდა სახელგასაქმეული კოლექტივის 200 წლისთავის წინ. ამიტომ სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის სოლისტები, გუნდი და ოოკესტრი საქართველოდან გახდნენ ფესტივალის მთავარი მონაწილენი. ორ სცენაზე მათ წარმოადგინეს რუსული საოპერო და საბალეტო კლასიკის შედევრები, ოგრეთვე თანამედროვე ავტორების საუკეთესო ნაწარმოებები.

ტრადიციისაებრ ფესტივალზე ფართოდ იყო წარმოდგენილი ხალხური ხელოვნება. დედაქალაქში წარმატებით გამოვიდნენ ლიტვის, მოლდავეთის, უკრაინის, საქართველოს, ესტონეთის, სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ანსამბლები. დიდი ინტერესი გამოიწვია საერთაშორისო საესტრადო პროგრამამ „მეგობართა მელოდიები-76“, რომელშიც საბჭოთა მსახიობებთან ერთად მონაწილეობდნენ მოძმე სოციალისტური ქვეყნების მომღერლები და მუსიკოსები.

საფესტივალო კონცერტებსა და სპექტაკლებს დაესწრო სამას ათასამდე მაყურებელი, მათ შორის 20 ათასზე მეტი უცხოელი ტურისტი. (საკდესის კორ.).

მუსიკალური შეხვედრები

ამერიკაკავკასიის რესპუბლიკების მუსიკის დღეები, რომლებიც ახლა თბილისში მიმდინარეობს, თავისებური გაგრძელებაა ფესტივალისა „ამერიკაკავკასიის მუსიკალური ბაზფხული“, რომელიც მარშან მაისში გაიმართა საქართველოში, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სამმართველოს უფროსმა და სამხატვრო ხელმძღვანელმა დ. კატიაძ. დღეები დაიწყო აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის ხალხური საკრავების ორკესტრის გამოსვლით, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელები არიან ნარიმან ახუმოვი და დირიჟორი ალი ჯუანშეიი. ფილარმონიის დიდ დარბაზში გაიმართა სიმღერები პოპულარული აზერბაიჯანელი მომღერლების შ. ალიკპეროვას, ბ. მირზოევის, ა. საფაროვისა და სხვების დასრულებით.

19 მაისიდან დიდ საკონცერტო დარბაზში გამოვლენ სომხეთის ხელოვნების ოსტატები, მათი კონცერტები 24 მაისამდე გასტანს.

თბილისელები შეხვდებიან ავრეთვე საქართველოს საუკეთესო სამმკრულებლო კოლექტივებს — რესპუბლიკის დამსახურებულ სიმფონიურ ორკესტრს, სახელმწიფო კაპელას, კამერულ ანსამბლს, სახელმწიფო კვარტეტსა და საქართველოს ხალხური ცეკვის ანსამბლს, ეოკალურ ინსტრუმენტულ ანსამბლ „რუსთავს“, ოპერისა და ბალეტის თეატრის და ფილარმონიის სოლისტებს.

შემოდგომაზე ამერიკაკავკასიის რესპუბლიკების მხატვრული კოლექტივები ერთმანეთს შეხვდებიან ბაკოში, სადაც მონაწილეობას მიიღებენ მუსიკალურ ფესტივალში. მდიდარი და მრავალფეროვანი იქნება ზაფხულის საკონცერტო სეზონი. თბილისსა და სოხუმში გამოვა ომსკის სახელმწიფო ოუსული ხალხური გუნდი. თვითონ სამმკრულებლო ინსტიტუტს ბაკოში ბაკაცობენ მსმენელებს საერთაშორისო კონკურსებია ლაურეატები ვიოლონჩელისტი შ. აბრამიანი, პიანისტები გ. სოკოლოვი და ლ. ვედერნიკოვი. მოეწყობა საორღანო მუსიკის საღამოები, ლენინგრადელი კომპოზიტორის ბ. ტიშჩენკოს საავტორო კონცერტი.

თბილისში გამოვლენ აგრეთვე პოლონური ესტრადისა და ინგლისური ესტრადის მსახიობები, ჩრდილოეთ ტეხასის (ამერიკის შეერთებული შტატები) ჯაზ-ორკესტრი.

ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ, ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

მეფარველობენ აგრესორებს

ᲣᲨᲘᲨᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

ნიუ-იორკი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ მორიგი სხდომა გამართა ისრაელის მიერ ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიებზე მდგომარეობის განსახილველად.

ამ საკითხის განხილვა იმან გამოიწვია, რომ ტელ-ავივი არღვევს საერთაშორისო სამართალს, ჰუმანურობისა და მორალის ელემენტარულ ნორმებს და განაგრძობს ტერორისა და რეპრესიების პოლიტიკას დაპყრობილ არაბულ ტერიტორიებზე. ისრაელი აგრესორები იქ ქმნიან გასამხედროებულ ბანებს, უკანონოდ აპატიმრებენ მკვიდრ მოსახლეობას. აწამებენ არაბებს, ბღალავენ მაჰმადიანურ სალოცავებს.

ასეთი პოლიტიკა ხორციელდება შეერთებული შტატების წაყრეებით, თუმცა ოფიციალური ვაშინგტონი ემიჯნება ამგვარ მოქმედებას. დამთხვევა არ არის ის, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში ამ საკითხის განხილვის დროს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჰ. კისინჯერმა ქალაქ ბალტიმორის სანაგრაბში გამოსვლისას განაცხადა, შეერთებული შტატები კვლავ მხარს დაუჭერს ისრაელს და მისი სამხედრო და ეკონომიური მიზნებისათვის 4,1 მილიარდ დოლარს გამოყოფს უახლოეს ორი წლის განმავლობაშიო.

უშიშროების საბჭოს სხდომაზე გამოსვლისას სუდანის მდგმიგმა წარმომადგენელმა მუსტაფა მედანიმ განაცხადა, ოკუპირებული არაბული ტერიტორიებიდან ისრაელის წასვლა ახლო აღმოსავლეთში მტკიცე მშვიდობის დამყარების უთუო პირობაა.

სიონიზმმა ტერორი იარაღად გაიხადა, ადნშნა სსრ კავშირის მუდმივმა წარმომადგენელმა ი. ა. მალიკმა. მთელი პალესტინელი ხალხის - აყრა მშობლიური ადგილებიდან — ეს იგივე ტერორია, და ამიტომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ დაგმო სიონიზმი, როგორც რასიზმისა და რასობრივი დისკრიმინაციის ფორმა.

ᲛᲔᲓᲔᲚᲕᲐᲠᲔᲑᲐ ᲑᲝᲡᲢᲝᲜᲨᲘ

ᲑᲝᲡᲢᲝᲜᲨᲘ (აშშ) კვლავ მოხდა რასისტული მღელვარება ახალი აფეთქება. ქალაქის ერთ-ერთ სკოლაში თეთრკანიანი მოწაფეები თავს დაესხნენ ზანგ თანატოლებს, რომლებსაც სცემეს და ქვები დაუშინეს. პოლიციამ, რომელმაც წესრიგი აღადგინა, უარი თქვა რასისტი ხულიგნების დაპატიმრებაზე.

როგორც ვარაუდობენ, ინციდენტი მოხდა რასისტთა წაქეზებით, რომლებიც თეთრკანიანი და ზანგი მოწაფეების ერთად სწავლების წინააღმდეგ გამოდიან.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲖᲔᲓᲐ: ზანგი მოწაფეები.

ᲞᲠᲔᲡᲐ ᲐᲦᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲡ

ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲨᲘᲨᲘ ᲙᲣᲠᲡᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, (საკდესი). ისრაელის მთავრობის გეგმები შექმნას ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიებზე ახალი დასახლებანი, კერძოდ მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე. კიდევ უფრო აშკარავდებენ ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტსა და დაძაბულობას ამ რაიონში, წერს გაზეთი „კრიშჩენ საიენს მონიტორი“ სარედაქციო სტატიაში სათაურით „ისრაელის საშიში კურსი“.

გაზეთი აღნიშნავს, რომ სხვისი მიწების „ათვისება“ ტელ-ავივის დიდი ხნის პოლიტიკაა, რომლის განხორციელება ისრაელმა ჯერ კიდევ 1948 წელს დაიწყო. კოლონიზაცია მკვეთრად გაკაკიურდა არაბეთ-ისრაელის 1973 წლის ომის შემდეგ, როცა ახლად მიტაცებულ მიწებზე დაიწყეს დასახლებების შექმნა.

არაბული ტერიტორიების „ათვისების“ კურსის ფორსირება გამოხატავს „კრიშჩენ საიენს მონიტორის“ სიტყვით, ისრაელში ყველაზე აგრესიული წრეების პოზიციების განმტკიცებას, გაზეთის მოპყავს ტელ-ავივში „ერთ-ერთი ყველაზე მაღალი თანამდებობის „ქორის“ გამონათქვამი, რომელმაც გულახდილად განაცხადა: „ჩვენ ვაპირებთ დავასახლოთ დასავლეთი ნაპირი, რათა შეუძლებელი გავხადოთ ამ რაიონის არაბებისათვის დაბრუნება“.

ტელ-ავივი გეგმი, ბაზს უსვამს გაზეთი, — „ეს არის უგუნური მოქმედება, რომელმაც შეიძლება მხოლოდ გაამწვავოს ისედაც სერიოზული პრობლემა და კიდევ ერთი დაბრკოლება გახდეს ახლო აღმოსავლეთის საკითხის სამოლოო მშვიდობიანი მოწესრიგების გზაზე“.

მოგვაგონებს რა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებებში ნათლად აღნიშნულია ისრაელის მოვალეობა დაუბრუნოს მეზობელ არაბულ სახელმწიფოებს მათი უკანონოდ მიტაცებული მიწები, „კრიშჩენ საიენს მონიტორი“ წერს: ისრაელის მთავრობამ უნდა გადასინჯოს თავისი გადაწყვეტილება ამ მიწების „კოლონიზაციის“ შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ კურსს კატასტროფა მოჰყვება ისრაელისათვის.

ᲚᲐᲙᲐᲠᲐᲙᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲛᲗᲮᲘᲚᲕᲔᲚᲘ

ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔ ᲮᲣᲜᲯᲘᲡ ᲛᲮᲔᲪᲝᲒᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, (საკდესი). სამი ჩილელი, რომლებიც სიეტლში გამოვიდნენ მასობრივ საპროტესტო მიტინგზე ჩილეში ფაშისტების ბოროტმოქმედების წინააღმდეგ, მრავალი თვის განმავლობაში იყვნენ ხუნტის დილეგებში.

მუშა ნენტორ ფერნანდესი დაპატიმრეს პრეზიდენტ ს. ალიენდეს კანონიერი მთავრობის დამხობის ორი თვის შემდეგ. მას სცემდნენ, ელექტროდენით აწამებდნენ და, როცა ვერაფერს გახდნენ, დაამწყვდიეს საკანში, რომელის ფართობი, 30 კვადრატულ მეტრზე ნაკლები იყო და სადაც უკვე იმყოფებოდა 200-მდე კაცი: პროფკავშირული მოღვაწეები, ექიმები, იურისტები, მუშები. საკანი ფეხზე მდგომი ტუსაღებით იყო გაჭედილი; ამდენი „საცხოვრებელი სივრცე“ მიუჩინეს მათ მედილეგეებმა.

ფიზიკურ წამებასთან ერთად, ამბობს ნ. ფერნანდესი, ჯალათები მიმართავდნენ ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას, პატიმრებს ემუქრებოდნენ, რომ დახოცავენ მათ ცოლებს, მშობლებს, ბავშვებს, ბევრი ვერ უძლებდა წამებას და „დაკითხვის“ დროს კვდებოდა.

საერთაშორისო საზოგადოებრიობის ზეგავლენით ნ. ფერნანდესი სხვა პოლიტპატიმართა ჯგუფთან ერთად გამოუშვეს საპატიმროდან და ქვეყნიდან გაიყვანეს.

ასევთვე ბედი ეწია ნელსონ როდრიგესს, ბანკის მოსამსახურეს, რომელიც წინათ შორს იდგა პოლიტიკისგან. ჩილეში ფაშისტური კადატრიალების მეორე დღეს იგი სამუშაოდან დაითხოვეს, ერთი კვირის შემდეგ დააპატიმრეს, დაპატიმრების შემდეგ დიდხანს იყო სარდაფში, სადაც ათობით სხვა პატიმართან ერთად კოშმარე წყალში იდგა.

ხუნტის ყოფილმა ტუსაღებმა, რომლებიც ჩილეს დემოკრატიული ძალების წარმომადგენლნი არიან, მაღალი შეფასება მისცეს ჩილელი ხალხის ბრძოლისადმი სოლიდარობას, რასაც მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში იჩენენ.

ᲡᲐᲙᲐᲓᲠᲘᲡᲘ ᲒᲕᲐᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲡ

ᲪᲘᲚᲘᲡᲛᲬᲐᲛᲔᲑᲚᲔᲑᲡ— ᲡᲐᲙᲐᲓᲠᲘᲡᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ

ᲛᲐᲝᲘᲡᲢᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲚᲘᲡ ᲪᲘᲚᲘᲡᲛᲬᲐᲛᲔᲑᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲜᲐᲘᲠᲝᲑᲘ. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის აქ მომდინარე მეოთხე სესიაზე მაოისტთა წარმომადგენლის ცილიმწამებლური გამოხდომები სოციალისტური ქვეყნებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენებლების პოლიტიკისადმი ბეჯერმა დელეგატმა შეაფასა როგორც უსაფუძვლო დემაგოგია, რომლითაც სურთ შენიღბონ პეკინის ანგარებითი მიზნები. ამ ბრიკეებს საკადრისი პასუხი გასცეს თავიანთ გამოსვლებში უნგრეთის, კუბისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა.

უნგრეთის დელეგაციის მეთაურმა ი. ბირომ გადაჭრით დაგმო მაოისტი წარმომადგენლის უხეში ცდები დამახინჯებინა სსრ კავშირის იმ პოლიტიკის აზრი, რომელიც მიზნად ისახავს სახელმწიფოთა შორის ურთიერთხელსაყრელი სავაჭრო და თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის განვითარებას.

კუბის საგარეო ეკონომიკის მინისტრმა მარსელო ფერნანდეს ფონტმა თქვა, რომ მაოისტთა ლაყბობა „ზესახელმწიფოთა“ შესახებ ხელს უშლის საერთაშორისო ასპარეზზე ძალთა განაწილების სწორ გაგებას და აბრკოლებს საერთაშორისო ეკონომიური ურთიერთობის გაბმულ დაქმნასთან დაკავშირებული კონკრეტული პრობლემების გადაჭრას.

კუბის წარმომადგენელმა განსაკუთრებით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური და განვითარებადი ქვეყნების ერთიანობას მსოფლიოში ახალი ეკონომიური წყობის დამყარებისათვის ბრძოლაში. არც საბჭოთა კავშირს, არც სხვა სოციალისტურ ქვეყნებს, აღნიშნა მან, არ ეკისრებათ პასუხისმგებლობა იმ ქვეყნების ახლანდელი ეკონომიური ჩამორჩენისათვის, რომლებიც კოლონიალიზმის უღლისაგან განთავისუფლდნენ. ამიტომ, თქვა კუბის წარმომადგენელმა, სოციალისტური ქვეყნებისა და განვითარებული კაპიტალიზმის ქვეყნების გაიგივება ხელს აძლევს მხოლოდ იმპერიალისტებს.

კუბის წარმომადგენელმა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ჰ. კისინჯერის გამოსვლა სესიაზე შეაფასა როგორც შენიღბული მუქარა განვითარებადი ქვეყნების მიმართ. კისინჯერის წინადადება ეგრეთ წოდებული „საერთაშორისო სანედლეულო ბანკის“ შექმნის შესახებ, მან დაახასიათა როგორც აქცია, რომელიც იცავს უცხოეთის კერძო კაპიტალის ინტერესებს და ეწინააღმდეგება ნაციონალიზაციის პოლიტიკას.

ᲤᲝᲢᲝᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲡᲢᲘᲥᲘᲘᲡ ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲜᲘ

ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ბევრი რაიონი ძლიერ დაზარალდა რამდენიმე ათეული ძლიერი მიწისძვრაში ბიძგის გამო. სტიქიური უბედურებით მიყენებულმა საერთო მატერიალურმა ზარალმა, მიახლოებითი გამოანგარიშებით, უკვე ტრილიონ ლირას მიაღწია დაიღუპა ათასამდე კაცი, 200 ათასზე მეტი უსახლკაროდ დარჩა. **ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗᲐᲜ:** ბარცხნივ — უსახლკაროდ დარჩენილთათვის ეწყობა კარვის ქალაქები, მარჯვნივ — ერთ-ერთი დასახლებული პუნქტი მიწისძვრის შემდეგ.

ᲘᲣᲡᲘ-ᲡᲐᲥᲕᲘᲡᲘᲡ ფოტო.

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲛᲝᲖᲐᲘᲙᲐ

ᲪᲝᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲠᲑᲘᲐᲜ

„ᲛᲔ ᲬᲐᲕᲔᲓᲘ. ᲐᲠ ᲛᲔᲫᲔᲑᲝ“ — ახლა ასეთ ბარათებს ამერიკის შეერთებულ შტატებში უფრო ხშირად ქალები წერენ, ვიდრე კაცები. წინათ კი პირიქით იყო. 1960 წელს, მაგალითად, ოჯახიდან გაქცეულ სამას კმარზე ოჯახის უღლიდან თავდაღწეული ერთი ქალი მოდიოდა.

ამჟამად კი ეს პროპორცია შეადგენს ორს ერთზე „ცოლების“ სასარგებლოდ.

ეს გამოიანგარიშა ფირმა „ტრეის კომპანი ოფ ამერიკამ“, რომელიც მიტოვებულ მეუღლეთა შეკვეთით გაქცეულ ცოლებსა თუ ქმრებს ეძებს.

ვინ გარბის? „ტრეის კომპანის“ პრეზიდენტი ედ გოლდფაბერი განზოგადებულ პორტრეტს ხატავს: 35 წლის ქალები, რომელთაც შვილები წამოეზარდნენ და შეუძლიათ თავიანთ თავს მიხედონ, გარბიან მბეზრებელი ქმრისაგან და არა ვინმესთან.

რატომ გარბიან? მთავარი მიზეზი, გოლდფაბერის აზრით, არის ის, რომ ცდილობენ მოიპოვონ თავიანთი ადამიანური ღირსება. ჩვეულებრივი სურათია: ქმარი კარიერთან არის დაკავებული, ბავშვები დაიზარდნენ... და იქმნება სულიერი სიცარიელე.

განსაკუთრებით დიდი დაბოლმაურება ჰქონია ანელიკა ალისტოს, სან-ფრანცისკოს მერის ცოლს, ექსი ნელის დედის გაქცევამ. მან უარი თქვა კეთილდღეობასა და დიდებაზე, რათა თავი დაეღწია

საქართველოს ფეხ-ბურთი

გზა დაულოცეს

ქარელი. (საკ. კორ.). რაიონის ჭაბუკები, რომლებიც მალე სამობილოს დამცველთა რიგებში ჩადგებიან, ბებნისის საბჭოთა მეურნეობის კულტურის სახლში მოიწვიეს.

წვევამდელთა შეკრებაზე მოვიდნენ რაიონის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ხელმძღვანელი ამხანაგები. აქვე არიან სამამულო ომის ვეტერანები, რაიონის აქტივისა და მოსწავლე ახალგაზრდობის წარმომადგენლები.

შეკრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ქარელის რაიკომის პირველმა მდივანმა ჯ. ხუციშვილმა. შემდეგ მოხსენებით გამოვიდა პარტიის ქარელის რაიკომის მდივანი ლ. მაზმიშვილი.

წვევამდელებს მიესალმნენ და გზა დაულოცეს სამამულო ომის ვეტერანებმა, საბჭოთა კავშირის გმირმა ს. კოზანოვმა, პენსიონერმა ვ. ლომიტაშვილმა, რაიონის სახალხო მეურნეობის წარმომადგენლებმა და მოსწავლე ახალგაზრდობამ.

დიდ მეცნიერს მიეძღვნა

 წლეულს ფართოდ აღინიშნება დიდი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ივანე ჯავახიშვილის დაბადების მეასე წლისთავი. ამ თარიღისათვის ემზადება სახელოვანი მამულიშვილის მშობლიური — კასპის რაიონი.

სოფელ ხოვლეში ეწყობა ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმი, რომელიც საიუბილეო დღეებში გაიხსნება. ამ იუბილეს მიეძღვნა კასპის რაიონის სახალხო უნივერსიტეტის გაფართოებული ძეცადინეობა თემაზე: „დიდი ქართველი მეცნიერი და მამულიშვილი ივანე ჯავახიშვილი“, რომელსაც მსმენელების გარდა ესწრებოდნენ რაიონის აქტივი, საწარმო-დაწესებულებების ხელმძღვანელები, აკადემიკოსები, სპეციალისტები, მუშაკი და კოლმეურნეები.

ძეცადინეობა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კპ კასპის რაიკომის პირველმა მდივანმა ლ. ისაკაძემ. შემდეგ თემებზე — „ივანე ჯავახიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“, „ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, „ივანე ჯავახიშვილი და ფეოდალური საქართველოს ისტორიის საკითხები“, „ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს არქეოლოგია“, — ისაუბრეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ა. სურგულაძემ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორებმა, პროფესორებმა ი. კაჭარავამ და მ. ლორთქიფანიძემ და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ა. ფაქაძემ.

დასასრულ ნაჩვენები იქნა დოკუმენტური ფილმი „ივანე ჯავახიშვილი“.

ამავე თარიღთან დაკავშირებით კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა მოაწყო დიდი გამოფენა, რომელიც გამოჩენილი მეცნიერის ცხოვრებას და მოღვაწეობას ასახავს.

დ. მელაძე,
კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერი მუშაკი.

საქართველოს აგიტატორი № 9

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყურნალ „**საქართველოს აგიტატორის**“ მორიგი, მეცხრე ნომერი.

ჟურნალის ახალი ნომერი იხსნება რუბრიკით „სკკპ და საქართველოს კპ XXV ყრილობების გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში“, სადაც დაბეჭდილია **ბ. გულიაშვილის** წერილი — ინტერნაციონალიზმის სულისკვეთების დამკვიდრების სიდიადე; ამავე ნომერშია გამოქვეყნებული:

ე. ლებანიძე — „კეროოფლაკუთნოული ტენდენციები დაუნდობელი ბრძოლა“; **ს. ბიწკინაძვილი** — გამოცდილება, ინიციატივა, თანამონაწილეობა — ჩვენი სიდიდრე; **ბ. ჩაგანავა, ი. თოფურია** — სიტყვით და საქმით; **ზ. კაციაშვილი** — რიტმულობა და წარმოების ეფექტიანობა; **ო. ფხაკაძე** — თვითაუფლების, პროგრესია გზით; **ნ. ზოდელავა** — ესთეტიკური აღზრდა ცხოვრების სილამაზისათვის ბრძოლაა; **გ. ფოცხვერაშვილი** — ეწვიეთ საქართველოს კერორტებს; **ვ. აბაშიძე** — ინსტრუქტაჟზე სადღეისო საკითხებს განიხილავენ და სხვა საინტერესო ძასალეაი.

ეჯისლეო

გუშინ შავი ზღვისპირა რაიონებში წვიმდა, დაბლობ რაიონებში 13 საათზე 13-15, მთებში 12-15 გრადუსი სითბო აღინიშნა.

წვიმდა აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონშიც, ჯვრის უღელტეხილზე თოვლქარი იყო, ყაზბეგის ძალდამთიანეთში თოვდა, ყველაზე მეტი სითბო 23 გრადუსი თბილისში აღინიშნა, დანარჩენ დაბლობ რაიონებში 17-22, მთებში 13-15 გრადუსი სითბო იყო.

დღეს შავი ზღვისპირა რაიონებში იწვიმებს, დაბლობ რაიონებში 17-22, მთებში 12-17 გრადუსი სითბო იქნება.

აღმოსავლეთ საქართველოს დასავლეთ რაიონებშიც წვიმა და ელჭექია მოსალოდნელი, იქროლებს დასავლეთის ქარი, დაბლობ რაიონებში 19-23, მთებში 13-18 გრადუსი სითბო იქნება.

თბილისში დღის მეორე ნახევარში წვიმა და ელჭექია მოსალოდნელი, გემპერატურა 21-23 გრადუსი სითბო.

იალქნებს ნიავმა დაუბერა

დასვენების დღეებში ბათუმის საზღვაო ნავსადგურის აკვატორიუმში დაინახავთ იალქნიან იახტებს — საგაზაფხულო წვრთნასა და შეჯიბრებას აწყობენ ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების წყალჯმარდობის ბაზის — „ეოდნეკის“ იახტსმენები. **სურათზე:** ბათუმის ნავსადგურის აკვატორიუმში.

ნ. ანასტასიევის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ფეხბურთი

თამაშიც ასეთი უნდა!

„დინამო“ თბილისი — **„კარპატი“** ლვოვი — **3:0 (1:0).**

14 მაისი, თბილისი, **„ლოკომოტივის სტადიონი. მსაჯი ვ. ბუტენკო** (მოსკოვი).

„დინამო“ — **გოგია, ებრალიძე, ჭელიძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, ჩივაძე, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, ყიფიანი, დარასელია.**

„კარპატი“ — **რაკიტსკი (შვიონიცკი), ნიკიტიუკი, პოტოჩნიაკი, ჩორბა, ბონდარენკო, ბროვარსკი, ლიხაჩოვი, დუბროვნი, დანილიუკი, კიკოტი, კაზინკევიჩი.**

რაც უმაღლეს ლიგაში ლვოვის „კარპატი“ თამაშობს, ასეთი ფორმატება ჯერ მას არ ჰქონია — წლევანდელ, ოცდამეთვრამეტე ჩემპიონატში ეკუთხი ტურის შემდეგ ლვოველები გათამაშების ცხრილში 9 ქულით პირველ ადგილზე იმყოფებოდნენ და თბილისში ჩამოვიდნენ როგორც ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერები. გუშინდელ თამაშში დინამოელებს „კარპატმა“ უკომპრომისო ბრძოლა გაუმართა.

თბილისელებმა მთელი მატჩი მაღალ დონეზე ჩაატარეს და დასახურებულად გაიმარჯვეს. ლვოველთა მკვეთრად მოთამაშე დაცვამ ვერაფერი მოუხერხა თბილისელთა შეტევებს. ბურთი, რომელიც 37-ე წუთზე გავდა „კარპატის“ კარში, მისი ავტორის დარასელიას პირველი გოლია საკავშირო ჩემპიონატში, რამდენიმე მეტრის გარეშეცვლაში ახალგაზრდა ფეხბურთელმა ყველაფერი უნაკლოდ გააკეთა და ტრიბუნებმაც დამსახურებული ტაშით დაჯილდოვეს. 58-ე წუთზე მანვე შესანიშნავად გადასცა ბურთი ყიფიანს და ამ უკანასკნელმა ანგარიში ორამდე გაზარდა. მესამე ბურთი ყიფიანმა 11 მეტრიანი საჯარიმოთი გოლად გარდასახა.

გუშინ თბილისის „დინამომ“ შაეურგბეკს ამ სეზონში საუკეთესო მატჩი ჰქონეს. თამაშიც ასეთი უნდა!

ბ. ბახტურიძე.

სსრ კავშირის თასზე

ნილისყრა შედგა

თბილისის „**დინამოს**“ ფეხბურთელები **სსრ კავშირის** თასის **გათამაშების მეოთხედფინალურ მატჩში 12 ივნისს საკუთარ მოედანზე შეხვდებიან ლვოვის „კარპატს“**, ხოლო ერევნის „**არარატი**“ მიიღებს ცსკა-ს, ოდესის „ჩერნომორეცსა“ და მოსკოვის „დინამოს“ შეხვედრაში გამარჯვებული საკუთარ მოედანზე შეხვდება დონეცკის „**შახტიორს**“. დნეპროპეტროვსკის „**დნეპრი**“ კი 4 ივნისს ითამაშებს კიევის „**დინამოსთან**“.

ეს ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც 14 მაისს საკავშირო სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველომა წელისყრა მოეწყო.

მეორე ეშელონში

გაიმართა სსრ კავშირის ფეხბურთელთა გუნდების პირველი ლიგის მატჩები. აი როგორ დამთავრდა ეს შეხვედრები: ორკონიკიძის „**სპარტაკი**“-**გროზნის** „**ტერეკი**“ — 2:2, რიგის „**დინუგავა**“-**პერმის** „**ზვეზდა**“ — 3:0, ზაპოროჟიეს „**მეტალურგი**“-**კემერო გოს** „**კუზბასი**“ — 2:0, ივანო-ფრანკოვსკის „**სპარტაკი**“-**იაროსლავლის** „**შინიკი**“ — 1:1; **კიშინიოვის** „**ნისტრუ**“-**ყაზანის** „**რუბინი**“ — 2:2, **სიმფეროპოლის** „**ტავრია**“-**აშხაბადის** „**კოლხოზჩი**“ — 4:0, **დონის როსტოვის** სკა-**დინამბეს** „**პამირი**“ — 0:1, **ბაკოს** „**ნეფტჩი**“-**ალმა-ათის** „**კაირატი**“ — 1:1.

მატჩი მოსკოვში

გუშინ მოსკოვში „**ლოკომოტივის**“ ცენტრალურ სტადიონზე საბჭოთა კავშირის პირველობაზე გაიმართა მატჩი ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „**ლოკომოტივი**“ და „**დინამო**“. შეხვედრა დამთავრდა ანგარიშით 3:2 დინამოელთა სასარგებლოდ.

დღეს მოსკოვში ითამაშებენ ადგილობრივი „**ტორპედო**“ და ლენინგრადის „**ზენიტი**“.

საქართველოს №

თბილისის „**დინამოს**“ ფეხბურთელები **სსრ კავშირის** თასის **გათამაშების მეოთხედფინალურ** მატჩში **12** ივნისს **საკუთარ** მოედანზე **შეხვდებიან ლვოვის „კარპატს“**, ხოლო ერევნის „**არარატი**“ მიიღებს ცსკა-ს, ოდესის „**ჩერნომორეცსა**“ და მოსკოვის „**დინამოს**“ შეხვედრაში გამარჯვებული საკუთარ მოედანზე შეხვდება **დონეცკის „შახტიორს“**. **დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“** კი 4 ივნისს ითამაშებს **კიევის „დინამოსთან“**.

ეს ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც 14 მაისს საკავშირო სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველომა წელისყრა მოეწყო.

მეორე ეშელონში

გაიმართა სსრ კავშირის ფეხბურთელთა გუნდების პირველი ლიგის მატჩები. აი როგორ დამთავრდა ეს შეხვედრები: **ორკონიკიძის „სპარტაკი“-გროზნის „ტერეკი“** — 2:2, **რიგის „დინუგავა“-პერმის „ზვეზდა“** — 3:0, **ზაპოროჟიეს „მეტალურგი“-კემერო გოს „კუზბასი“** — 2:0, **ივანო-ფრანკოვსკის „სპარტაკი“-იაროსლავლის „შინიკი“** — 1:1; **კიშინიოვის „ნისტრუ“-ყაზანის „რუბინი“** — 2:2, **სიმფეროპოლის „ტავრია“-აშხაბადის „კოლხოზჩი“** — 4:0, **დონის როსტოვის სკა-დინამბეს „პამირი“** — 0:1, **ბაკოს „ნეფტჩი“-ალმა-ათის „კაირატი“** — 1:1.

ფეხბურთი

საქართველოს კრებულებზე

მეუფეიდ ტურში ერთმანეთს შეხვდნენ ლიდერები ჩიქოვანი და უბილავა. ჩიქოვანმა თეორებით ერთგვარი უპირატესობა მიიღო, მაგრამ შემდეგ თამაში გამარტივდა და მეტოქენი ყიმზე შეთანხმდნენ. ასეთივე შედეგით დასრულდა გრძელიშვილ-ზაინიკის შეხვედრა. ჭიპაშვილმა მოუგო გედეონაშვილს, ვეფხვიშვილმა — კაპანაძეს, სიხარულიძემ — კალატოზიშვილს, სტურუამ — ცქიტიშვილს, ჯანიკაევმა — მაჭარაშვილს. მაია ჩიბურდანიძემ შავგბით მატერიალური უპირატესობა მოიპოვა შოგორაძესთან. პარტია გადაიდო.

7 ტურის შემდეგ 5,5 ქულით პირველ-მეორე ადგილებს იყოფენ ოსტატები ჩიქოვანი და უბილავა. 4,5 ქულა აქვთ ოსტატებს ჯანიკაევს, ზაინიკასა და ოსტატობის კანდიდატ კაპანაძეს.

მოკლედ

ქალსნობა. ყარაგანდაში საბჭოთა კავშირის პირველობაზე ქვეყნაშუალო წონის ლენინგრადელმა ვალერი სმირნოვმა „ორი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. აკვრაში აჩვენა 192,5 კილოგრამი და ორჭიდის ჯამში 342,5 კილოგრამი ასწია. 23 წლის ლენინგრადელი არმიელი ვ. სმირნოვი პირველად გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლის მფლობელი. ვერცხლის მედალი მოიპოვა ხაბაროვსკელმა ვიქტორ ლისენკომ, ბრინჯაო — ვორონეჟელ ალექსანდრ ვალენტინ მიხაილოვმა. საშუალო წონაში პირველი ადგილი დაიკავა ოცი წლის ლვოველმა სტუდენტმა ალექსანდრე ზიუბანმა. ორჭიდის ჯამში მან 347,5 კილოგრამი ასწია. ვერცხლის მედალი დაისაკუთრა შახტელმა გენადი ბესონოვმა.

ტანვარჯიში. მოსკოვში იწყება ტანვარჯიშში სსრ კავშირის თასის გათამაშება — მონრეალის ოლიმპიური ასპარეზობის წინ უკანასკნელი შესარჩევი შეჯიბრება. აქ შეიკრიბებიან ქვეყნის უძლიერესი ტანმოვარჯიშეები ოლიმპიური ჩემპიონების ლუდმილა ტურიშჩევასა და ნიკოლოზ ანდრიანოვის მეთაურობით. ჩვენი რესპუბლიკიდან მონაწილეობას მიიღებენ სსრ კავშირის ახსოლუტური ჩემპიონი პაატა შამუგია, ცნობილი ტანმოვარჯიშეები ნინო დრონოვა და რუსუდან სიხარულიძე.

ხელგურთი. თბილისში კიროვის სახელობის პარკის სპორტულ დარბაზში დამთავრდა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების პირველობა ხელბურთში. ჩემპიონი გახდა კიევის სამხედრო ოლქის გუნდი. მეორე ადგილზე გამოვიდნენ. ბელორუსიის სპორტსმენები, მესამე საპრიზო ადგილი წილად ხვდათ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ხელბურთელებს.

წყალბურთი. ჩელიაბინსკში გამართულ ზონალურ შეჯიბრებაში თბილისის „**დინამოს**“ ნორჩ წყალბურთელთა გუნდმა მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა და პირველად მოიპოვა უფლება მონაწილეობა მიიღოს მოსკოვში სსრ კავშირის ახალგაზრდულ პირველობის ფინალში.

გმიროზის 20 წამი

დაიღუპა მხოლოდ მემანქანე. მაგრამ სიცოცხლის ფასად მან გადაარჩინა ასობით ადამიანი. როგორც შემდეგ გამოირკვა, მას სულ ოციოდე წამი ჰქონდა, რათა რიულ ვითარებაში მიეღო და შეესრულებინა ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება.

...ლამეა. ცრის. წვიმიანი ამინდი ხილვადობას აძნელებს. სამგზავრო მატარებლის ბაქო-როსტოვის თბომავლის კაბინაში ორი ადამიანი ფხიზლად გაჰყურებს გზას. ესენი არიან მემანქანე თ. ა. ტაბაჩნი და მისი თანაშემწე ვ. პ. პტუშინი. ყარაბულახთან მოსახვევი იწყებოდა. უცებ გამოჩნდა მათ საპირისპიროდ მომავალი ბეტყით დატვირთული ორი პლატფორმა.

თბომავლის კაბინაში მყოფმა ორმა ადამიანმა თითქმის ერთდროულად შეამჩნიეს მათკენ გამოქანებული პლატფორმები. შექმნილ ვითარებაში მგზავრთა ბედი დამოკიდებული იყო მემანქანის სწრაფ რეაქციასა და ოსტატობაზე. თევდორე ალექსის-ძე ტაბაჩნის — პარტიის წევრი ორმოცდაცამეტი წლიდან, რაზმელს, რკინიგზის მოძრაობის უსაფრთხოების საზოგადოებრივ ინსპექტორს, ორი შვილის მამას — კარგად ესმოდა, რომ მის ზურგს უკან მგზავრები არიან. ეს მთავარია. მაგრამ ამ დრამატულ მომენტში არც გვერდით მდგომი ამხანაგი დავიწყებია, მას გადასძახა: ვალოდია, ჩქარა სადილზეა!

ხელები კი უკვე თავისთავად მოქმედებდნენ. მტკიცედ, ზუსტად, მრავალი წლის პრაქტიკით გამომუშავებული ავტომატიზმით მემანქანემ შეანცლა დატვირთვა, ჩართო საგანგებო მუხრუჭი, ხანძრის თავიდან აცილების მიზნით ჩააკრო ძრავები. წამი, კიდევ წამი-და კა, ოცი წამიც გავიდა. მორჩა! კიდევ რამდენიმე წამი რომ ჰქონოდა, თვითონაც მოასწრებდა სადილზეში შევარდნას და გადაურჩებოდა ხეტყით დატვირთული პლატფორმების დარტყმას. მხოლოდ ერთი აზრი: „დავამუხრუჭო ბოლომდე, უკანასკნელ წუთამდე არ გავუშვა ხელიდან სახელური, ვიხმლო გადავარჩინო შემადგენლობა“ და მას არ დაუტოვებია პოსტი, სანამ არ გაისმა დარტყმის ხმა და კაბინა არ გაიჭეჭყა...

დეპოს კოლექტივმა გადაწყვიტა მემაქანე თ. ა. ტაბაჩნის გმირობის ადგილზე ამმართოს ობელისკი, რომელიც სიმბოლურად გამოხატავს მის უკანასკნელ სურვილს: „ბედნიერ ვიზავრობას გისურვებთ, ვირფასო საბჭოთა ადამიანებო!“ (საკდეს).

ბრაკონიერები ლაისარნენ

ლენტეხი. (საკ. კორ.). ცნობილია, რომ ბუნების ყველაზე დიდი მოამაგე და დამცველი ხალხია, მაგრამ მათ ძორის ძაინც გამოერევიან უსულგულო ადამიანები, რომლებიც ძეუბარალებლად ახადგურებენ ტყე-ძანდვრების მშვენებას, ისედაც გადაძეხების გზაზე დამდგარ გადაეულ ცხოველებსა და ფრინველებს.

ასეთია რიცხვს მიეკუთვნება ორი ახალგაზრდა: ჩოლურელი ზაქარია ბეხდელიანი და ლეტეხის სკოლა-ინტერნატის მოსწავლე ირაკლი ბეხდელიანი, რომლებმაც ამ ზამთარში, დიდთოვლობის დროს, ნაცვლად იმისა, რომ მოეფლთა, გამოუკვეთათ და ეპატრონათ შეიერი, უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი არჩვისათვის, პირიქით, სანადირო თოფით ვერაგულად გამოასალეს სიცოცხლეს.

ბრაკონიერებს ჩადენილი დანაშაული არ ჰერჩთ, მათი საქმე ამ დღეებში განიხილა სახალხო სასამართლომ, რომელმაც ზაქარია ბეხდელიანს ერთი წლით იძულებითი მუშაობა მიუსაჯა, ხოლო არასრულწლოვანი ირაკლი ბეხდელიანი, შემდგომი აღზრდა-დამოსწორებისათვის სკოლა-ინტერნატის პედაგოგიურ კოლექტივს გადაეცა. სასამართლომ ქერძო განჩინება გამოიტანა ეგერების მიმართ, რომლებიც არ ატარებენ საჭირო ღონისძიებებს ფაუნის დასაცავად, აგრეთვე ბრაკონიერთა მშობლების მიმართ, რომლებმაც არ დაიცვეს სამონადირეო თოფების შენახვის წესი.

ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამხ. **ზ. ბ. ჯინჭარაძე** დანიშნა საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრის პირველ მოადგილედ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამხ. **ზ. ბ. ჯინჭარაძე** დანიშნა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილედ.

რედაქტორი
დ. მეედლიშვილი.

ეროვნული პროგრამა

17 მაისი

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან),
10.10 — დილის ვარჯიში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
10.30 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
11.00 — „ცხოველთა სამყაროში“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
12.00 — „კინომგზაურთა კლუბი“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
16.50 — სტუდენტთათვის — ზოგადი ფიზიკა,
17.50 — გაკვეთილები,
17.55 — კინონარკვევი,
18.05 — „ეს ყველამ უნდა იცოდეს“,
18.20 — მოსწავლეთათვის — „გაკვეთილები ეკრანზე მოგვადგა“,
18.40 — კინონარკვევი,
18.55 — „ვესტნიკი“ — საინფორმაციო პროგრამა,
19.15 — „ქარს რომ არ გაჰყვეს მიწა“ — გამეორებით,
19.30 — „ეერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ყრილობის წინ“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა გდრ-დან),
20.30 — სატელევიზიო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი — „ტყის წვიმა“,
21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა,
21.30 — კონცერტი,
22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — სომხური დრამატურგიის ფუძემდებლის გიორგი სუნდუკიანის დაბადების 150-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოს ვიდეოჩანაწერი.

18 მაისი

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან),
10.10 — დილის ვარჯიში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
10.30 — VIII კლასელთათვის — ფიზიკა,
17.00 — მოსწავლეთათვის — ინგლისური ენა,
17.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ავეზსტო ჩრდილოეთში“,
17.40 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ქართული ენა,
18.25 — განცხადებები,
18.30 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ბიოლოგია,
19.10 — „მეცნიერების აქტუალური პრობლემები“,
19.40 — „ბლოკუსი“. ფერადი გამოსახულებით,
20.35 — სპორტული მიმოხილვა,
21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა,
21.30 — „სკკპ XXV ყრილობა: თანამშრომლობის ჰორიზონტები“,
22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.35 — ქართველი მომღერლები დიდი თეატრის სცენაზე.

19 მაისი

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან),
10.10 — დილის ვარჯიში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
10.30 — VI კლასელთათვის — ფიზიკა,
17.05 — მოსწავლეთათვის — „ალისფერყელსახვევიანთა ზეიმი“ (ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის დაბადების დღისადმი მიძღვნილი გადაცემა),
17.50 — განცხადებები,
17.55 — ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის დაბადების დღისადმი მიძღვნილი მოსკოვის პიონერთა სახლიდან შეკრების ტრანსლაცია კრემლის ყრილობათა სასახლიდან. ფერადი გამოსახულებით,
19.55 — დოკუმენტური ფილმი, ბრიელ სუნდუკიანის დაბადების 150-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოს ვიდეოჩანაწერი.

20 მაისი

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან),
10.10 — დილის ვარჯიში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
10.30 — მოსწავლეთათვის — ზოგადი ბიოლოგია,
17.05 — მოსწავლეთათვის — რუსული ენა,
17.35 — კინონარკვევი — „ქალაქი თერგზე“,
17.45 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — სსრ კავშირის ისტორია,
18.30 — კინონარკვევი,
18.45 — „სოფლის მეურნეობის სპეციალისტის ტრიბუნა“,
19.15 — „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი“ (გადმოცემა მოსკოვიდან),
19.45 — კონცერტი,
20.15 — შოთა ნიშნიანიძე „მწვანე წელიწადი“. გამეორებით — (ფერადი გამოსახულებით),
21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა,
21.30 — „საესტრადო პანორამა“,
22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.35 — პირველად ჩვენს ეკრანზე — მხატვრული ფილმი „ჰერცოგი ბობი“.

21 მაისი

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან),
10.30 — „მოდი, ზოგპაროლ“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
11.00 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „უფროსი ვაჟი“. I სერია. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
15.55 — „მშობლიურ მხარეში“. საქართველოს სსრ. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
16.25 — „ცეროდენას ეკრანი“,
16.40 — მოსწავლეთათვის — ფრანგული ენა,
17.10 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ფიზიკა,
17.55 — მოსწავლეთათვის — „ეკონომიკურ მერიდიანზე“,
18.25 — „განვაზრცოლოთ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებები“ — „დეპუტატი და ცხოვრება“,
18.50 — გადაცემა — „ფრენის სათაეგებთან“,
19.20 — ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ბებერი მეზობლები“,
20.50 — „სიტყვა სწავლულს“ — (საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ვ. კირილინის გამოსვლა). ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
20.50 — კინოუურნალი,
21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა,
21.50 — კონცერტი,
22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.35 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე. „რუბინი“ (ყაზანი) — „ტორპედო“ (ქუთაისი). 20 მისის მატჩის მეორე ტაიმის ვიდეოჩანაწერი.

22 მაისი

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან),
10.10 — „შეეისწავლოთ ქართული ენა“,
11.00 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „უფროსი ვაჟი“. II სერია. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
12.10 — ეროვნულ-ინსტრუმენტალური ანსამბლი „დიეფარი“ ასრულებს. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
13.40 — „ეკონომიკა“ — უმაღლესი მათემატიკა,
13.10 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი — „გაიდარი პერმში“,
13.35 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — მათემატიკა,
14.20 — კინონარკვევი,
14.30 — „მუსიკალური კალენდარი“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
15.00 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
15.30 — დოკუმენტური ფილმი „მოზარდი“ (ქართულ ენაზე),
16.25 — „რიტმები, მელოდიები“ — გამეორებით (ფერადი გამოსახულებით),
17.30 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის,
18.15 — კინონარკვევი,
18.30 — „განვაზორციელოთ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებები“ — „ხეთოწლიდის ნაბიჯები“,
18.45 — მოსწავლეთათვის „ალფორცელა“. ფერადი გამოსახულებით,
19.30 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა,
20.00 — ევროპის პირველობა ფეხბურთში. საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრები გუნდები. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა კიევიდან),
21.45 — ნახატი ფილმი უფროსებისათვის — „იუმორესკა“,
22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ნიკოლოზ მორდვინოვი (გადმოცემა მოსკოვიდან),

23 მაისი

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან),
10.30 — „მადონა“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
11.00 — „შეეისწავლოთ რუსული ენა“,
11.45 — ბავშვებისათვის — გასართობი კინოპროგრამა,
13.00 — „მუსიკალური კიოსკი“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
13.30 — „ეკონომიკა“ — „ეკონომიკურ მერიდიანზე“,
14.00 — „სპეციალიკა სკოლა“,
14.30 — „ჯადოსნური ეკრანი“,
14.50 — „ახალგაზრდობა“ — სატელევიზიო პროგრამა,
15.30 — კინოს მოყვარულთათვის,
17.00 — „ჯანმრთელობა“ — სატელევიზიო პროგრამა,
17.30 — მულტიპლიკაციური ფილმი,
17.45 — „საერთაშორისო პანორამა“ (გადმოცემა მოსკოვიდან),
18.15 — „სპორტული ქალეიდოსკოპი“. გამეორებით (ფერადი გამოსახულებით),
19.15 — მულტიპლიკაციური ფილმი „მე ბარტყს ვეძებდი“,
19.35 — „ფილოსოფია და ცხოვრება“,
20.00 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი — „ფრაკი“ — სერიიდან — „ადგეს საღამოს ფერნანდელი“ — იტალია-საფრანგეთის ერთობლივი ნაწარმოები. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
20.45 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა,
21.10 — „ეინომოგზაურთა კლუბი“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — „საბჭოთა კავშირის ხალხთა ბალეტი“ — „ეროვნული ანსამბლი „ალანია“ (ჩრდილოეთ ოსეთი).

ეკვაკოს ჯ. ეჩვეიას თბილისი

23.40 — „ეროვნული ანსამბლი „ალანია“ (ჩრდილოეთ ოსეთი).

15 მაისი

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), **10.10** — დილის ვარჯიში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), **10.30** — დოკუმენტური ფილმი „დაპყრობა“, **11.00** — „თქვენთვის, მშობლებო!“ (გადმოცემა მოსკოვიდან), **11.30** — „შეეისწავლოთ ქართული ენა“, **12.15** — დოკუმენტური ფილმი „ასეთი ახალგაზრდობა“, **12.45** — ევროპა — „ცვლილებათა ხანა“ (ცენტრალური ტელევიზიის 14 მაისის გადაცემის ვიდეოჩანაწერი), **13.40** — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — მათემატიკა, **14.10** — ქართული მხატვრული ფილმი „სინათლე ჩვენს ფანჯრებში“, **15.30** — „ჯანმრთელობა“ — საშეცნიერო-პოპულარული პროგრამა. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), **16.00** — მუსიკის მოყვარულთათვის, **16.35** — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, **17.30** — „სტომატოლოგიის აქტუალური პრობლემები“, **18.00** — ცხოველთა სამყაროში“, ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), **19.00** — ტრადიცია და თანამედროვეობა, **19.35** — მოსკოვის ბორკის სახელობის სახელმწიფო აკადემიური სამხატვრო თეატრის სქეტჩი „პარტიული კომიტე